

დადგენილება № ცვ-0925-22
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

01 სექტემბერი, 2022 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილველი კომისიის თავმჯდომარის მ/შ ნათია სვანიძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2022 წლის 01 სექტემბერი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განხილვა საქმე:

ფიზიკური ნინო ხვადაგიანი, პირადი № 60001038273, დაბ. 1970 წლის 04 თებერვალს, მის. ქ. ქუთაისი, დები იშხნელების ქ. N48 (ყოფილი ვაჟა ფშაველას 2 შეს), ფაქტ. მის. ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. II ჩიხი N7, ტელ. 551500904.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2022 წლის 26 აგვისტოს, ქ. ქუთაისში, წერეთლის ქ. II ჩიხი N7-ში, აბონენტ თვალავადის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აღნიშნულ მისამართზე მრიცხველი აღმოჩნდა დაკარგული, ხოლო მისამართზე მცხოვრებ ნინო ხვადაგიანს ძაბვა მიეწოდებოდა ავტომატური ამომრთველიდან პირდაპირი მიერთებით, უმრიცხველოდ. შესაბამისად, სახეზე გვაქვს ელექტროენერგიის დატაცების ფაქტი, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს იმავე დღეს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება ადმინისტრაციული საქმის განხილვამდე. ნინო ხვადაგიანის მიმართ 26.08.2022წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას № 009596 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, იგი აღიარებს სამართალდარღვევის არსებობას და განმარტავს, რომ ფაქტი მისთვის ცნობილია და იგი მომავალში არ განმეორდება. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი გამოცხადდა. ნინო ხვადაგიანი არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 26.08.2022წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი №A992363, რომლითაც დასტურდება ნინო ხვადაგიანის მიერ ელექტროენერგიის დატაცება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი,

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი), რომელთა მეშვეობით დგინდება ნინო ხვადაგიანის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის დატაცება. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა და 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც ნინო ხვადაგიანმა მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228²-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილებების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 29.06.2022 წ. EPG RU №2022007 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 30.06.2021 წ. OR №2021018 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი ნინო ხვადაგიანი, პირადი № 60001038273, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: _____

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ნათია სვანიძე,

კომისიის თავმჯდომარის მ/შ

